საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაციისა და ადგილობრივი თვითმართველობების ერთობლივი პროექტი

„ერთად აღვზარდოთ მომავალი ჩემპიონები“

შესავალი- პროექტის ზოგადი მიმოხილვა:

არავისთვისაა უცხო თუ რაოდენ მნიშვნელოვან როლს თამაშობს სპორტი ერის ფიზიკური გაჯანსაღების და ქვეყნის პოპულარიზაციის საკითხში. ამ თვალსაზრისით ქართული ძიუდო მართლაც რომ მოწინავე პოზიციებს იკავებს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართველი ძიუდოისტების შთამბეჭდავი მიღწევები უკანასკნელი წლების განმავლობაში.

- 2012, 2013, 1014 წლებში საქართველოს ნაკრები ზედიზედ სამჯერ გახდა ევროპის გუნდური ჩემპიონი;
- 2013 წელს გუნდმა მესამედ მოიპოვა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული;
- 2007 წლიდან მოყოლებული სპორტის ოლიმპიურ სახეობებში, მხოლოდ ძიუდოისტმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა შეძლო მოეპოვებინა მსოფლიოს ჩემპიონობა;
- 2012, 2013, 2014 წლებში საქართველოს საუკეთესო სპორტსმენის ნომინაციებში მთლიანობაში 10-დან 5 ნომინაციაში გამარჯვებულები არიან ძიუდოს წარმომადგენლები

რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი პირდაპირპროპორციულადაა დაკავშირებული სახელმწიფოს მხარდაჭერასთან, რაც მართლაც რომ უდიდესი ყურადღების გამოჩენითა და დიდი ენთუზიაზმით ხორციელდება. იმ პროექტებს შორის, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან განხორციელდა, აღსანიშნავია საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ბ-ნ ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილება, ძიუდოს ეროვნული ფედერაციისთვის საკუთარი სავარჯიშო კომპლექსის გადაცემის თაობაზე. სწორედ პრემიერ-მინისტრის ამ გადაწყვეტილებამ მოგვცა საშუალება ზემოაღნიშნული პროექტის განხორციელებაზე გვეფიქრა, რაც იქნება მართლაც უნიკალური და საგრძნობლად გაზრდის არა მხოლოდ სპორტულ შედეგებს, არამედ ძიუდოს მასობრიობას და სპორტის ამ სახეობაში დასაქმებულთა პროფესიონალიზმს. სამწუხაროდ, მთელ რიგ რაიონებში ძიუდოს განვითარება ვერ მიდის იმ ტემპით, რომ დააკმაყოფილოს თანამედროვე ეტაპზე გადასვლით გამოწვეული მოთხოვნები. არსებული მწვრთნელების კვალიფიკაციის დონე საგრძნობლად ჩამორჩება ნაკრების და სხვადასხვა წამყვანი ძიუდოს სკოლების მწვრთნელთა სტანდარტებს. პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ ერთჯერადი სემინარები და მხოლოდ შეჯიბრის პერიოდში არსებული კომუნიკაცია ვერ უზრუნველყოფს მოწინავე იდეების და გამოცდილების სათანადოდ გაზიარებას. მითუმეტეს ამ ფორმატში ვერ ხერხდება სიღრმისეულად საკითხების განხილვა. ჩვენი იდეა მდგომარეობს რეგიონალური მწვრთნელების და მოზარდი ძიუდოისტების, როგორც ერთმანეთთან, ასევე ნაკრები გუნდის მწვრთნელებთან და ყოფილ თუ მოქმედ (ოლიმპიური, მსოფლიოს, ევროპის) ჩემპიონებთან ერთად საწვრთნელი პროცესის სისტემატურ განხორციელებაში. აღსანიშნავია, რომ ერთობლივი შეხვედრების დროს მოხერხდება არა მხოლოდ პრაქტიკული, არამედ მნიშვნელოვანი თეორიული ცოდნის გაზიარება. მოზარდებს საშუალება ექნებათ მრავალფეროვანი სპარინგის, რა დროსაც მიღებულ გამოცდილებას გამოიყენებენ არა მხოლოდ საკუთარი პროფესიონალიზმის

სრულყოფისთვის, არამედ ავტომატურად მოხდება მისი გადაცემა რაიონის სკოლებში მოვარჯიშე სხვა ახალგაზრდებისთვის.

პროექტის განხორციელების პრინციპები და მექანიზმი:

- პროექტი გულისხმობს კვირაში ერთი დღე ერთობლივი ვარჯიშის წარმართვას ძიუდოს ეროვნული ფედერაციის ბაზაზე ქ.თბილისში
- ვარჯიში წარიმართება ნაკრების მწვრთნელების უშუალო ხელმძღვანელობით, სადაც ჩართულნი იქნებიან თითოეული ძიუდოს სკოლის წარმომადგენლები.
- სავარჯიშო პროცესში სისტემატურად მოხდება როგორც ყოფილი, ასევე მოქმედი წარმატებული სპორტსმენების მონაწილეობა მათი გამოცდილების გაზიარების კუთხით (ევროპის, მსოფლიოს და ოლიმპიური თამაშების ჩემპიონები და პრიზიორები)
- ჩართულები იქნებიან საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები. მოხდება ძიუდოს საშეჯიბრო წესებისა და სხვადასხვა ტაქტიკური თუ ტექნიკური მომენტების ვიდეოგანხილვები.
- პროექტის მონაწილეები არიან 14-დან 17 წლამდე მოზარდები და მათი მწვრთნელები
- პროექტში ჩართული იქნება თბილისისა და ყველა სხვა მსურველი რაიონის ძიუდოს სკოლები. სულ ჯამში 450-დან 500-მდე მოზარდი და 35-დან 40-მდე მწვრთნელი.

პროექტის მიზნები და შედეგები:

- ძიუდოს პოპულარიზაცია და მასობრიობა

- ახალგაზრდა ძიუდოისტებში პროფესიონალური უნარ-ჩვევების გამომუშავება
- ძიუდოს მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება
- საქართველოს სხვადასხვა კუთხის ახალგაზრდებს შორის ურთიერთობის გაღრმავება
- საერთაშორისო ასპარეზზე წარმატების მიღწევა

პროექტში მონაწილე სუბიექტები და მათი უფლება-მოვალეობები

- პროექტში მონაწილე სუბიექტები
  1. საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია
  2. ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამგეობები ან/და მათდამი დაქვემდებარებული სპორტული სკოლები

  3. 14-დან 17-წლმდე მოზარდი ძიუდოისტები და მათი მწვრთნელები

საქართველოს ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

- უზრუნველყოფს სავარჯიშო პირობების შექმნას საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად
- საწვრთნელ პროცესში ნაკრების მწვრთნელების და სხვადასხვა სპეციალისტების ჩართულობას
- ტიტულოვანი და წარმატებული სპორტსმენების მოწვევას
- საჭიროების შემთხვევაში პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფას

ადგილობრივი მუნიციპალიტეტების გამგეობები ან/და მათდამი დაქვემდებარებული სპორტული სკოლები

- უზრუნველყოფენ ახალგაზრდა ძიუდოისტების (სასურველია არანაკლებ 15-20) და მათი მწვრთნელების მივლინებას კვირაში ერთხელ ქ. თბილისში, ძიუდოს აკადემიაში მათ მიერ დადგენილი ერთი დღის სტანდარტული კვების ჩათვლით.

სპორტსმენები (ძიუდოისტები) და მათი მწვრთნელები

- ვალდებულია დაიცვას ყველა ის წესი, რაც მოქმედებს ძიუდოს აკადემიაში .
- ენთუზიაზმით მოეკიდოს საწვრთნელ პროცესს თეორიული თუ პრაქტიკული ცოდნის ამაღლების კუთხით

პროექტის განხორციელების ვადები

- პროექტი ატარებს საპილოტე ხასიათს
- პროექტის ხანგრძლივობა 01.01.2016-დან 31.12.2016-მდე

- შენიშვნა: გამომდინარე იქიდან, რომ აღნიშნული პროექტი თბილისში არსებული სხვადასხვა ძიუდოს სკოლებისა თუ კლუბებისთვის იწყება 2015 წლის ოქტომბერში, ცალკეული მუნიციპალიტეტის მზაობის შემთხვევაში, შესაბამისი რაიონის

ახალგაზრდების ჩართულობა შესაძლებელი იქნება ამ დროიდან.

საქართველოს ძიუდოს
ეროვნული ფედერაცია

თბილისი 2015 წ.